საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერია

ქ. წალენჯიხა 08 / მაისი / 2019 წ.

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17–00–17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha,Georgia Tel: 571 17–00–17 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameria@tsalenjikha.gov.ge

KA000099985746419

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის

## ბრძანება № 2-1/182

### წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგე ბლობაში იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 54-ე მუხლის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა დ მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2019 წლის 6 მაისის N 3 ოქმის საფუძველზე.

ვბრძანებ :

I. გამოცხადდეს საჯარო აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით:

1. ქ. წალენჯიხა,თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი მიწის უძრავი ქონების ს/კ N47.11.43.473 – საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს--- 1400 ლარით.

ა) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 150 ლარით

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით

.

2. ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი მიწის უძრავი ქონების ს/კ 47.13.34.199 - საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს-- 7038 ლარით.

ა) ,,ბე“ ს საფასური განისაზღვროს 800 ლარით

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 400 ლარით

3. ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი მიწის უძრავი ქონების ს/კ 47.02.40.036 - საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს -- 3000 ლარით.

4. ქ. წალენჯიხა ვ. შანავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის დაშლა-გატანა ს/კ N47.11.33.123, საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს --2152

ა) ,,ბე“ საფასური განისაზღვროს 250 ლარით

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 150 ლარით

II.გამოცხადდეს საჯარო აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში იჯარის ფორმით გაცემის მიზნით:

1. ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩაზე მდებარე არა ს/ს დანიშნულების(ს/კ N47.11.01.174) მიწის ნაკვეთიდან 131 კვ.მ მიწის ნაკვეთი- საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს ---900 ლარით

ა) ,,ბე“-ს საფასური განისაზღვროს 100 ლარით

ბ) სავაჭრო ბიჯის საფასური განისაზღვროს 50 ლარით. ~

III. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობაში იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი 1)

IV. დაევალოს (მუნიციპალიტეტის მერიას ადმინისტრაციულ სამსახურს (ლ. არქანია) უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში და ინფორმაციის განთავსება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;

V. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის უფლებით გადაცემის მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ ორგანიზება გაუკეთოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვას აუქციონის ფორმით;

VI. აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას „ბე“–ს საფასურის გადახდა განხორციელდეს საბანკო ანგარიშებზე, ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში: ( 300393332- მოძრავ ქონებაზე; 300393313- უძრავ ქონებაზე; არა ს/ს დანიშნულების მიწაზე-300393390); სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში: მოძრავ ქონებაზე-300393224; უძრავ ქონებაზე-300393212; მიწაზე--300393047

VII. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

VIII. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N1)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ცოტნე შონია